

# ქვეყანა საქართველო

წელი პირველი

1er année.



№ 2

NOTRE PAYS

Revue mensuelle

Redac.: 14, cité Falguiere - Paris 15.

მარტი — 1948 — MARS

ქართულ ემიგრანტ მწერალთა და ჟურნალისტთა ორგანო.

## 25 თებერვალი

27 წელიწადი შესრულდა რაც საქართველო დაიპყრეს, დაატყვევეს და ბორკილები დაადვეს. 27 წელიწადია რაც მტერი დაბანაკდა ჩვენს ქვეყანაში და ფენს არ იცვლის, არ მიდის. მტერი ბოროტი, უღმობველი, შეუბრალებელი, და უზრგველი; შეიარაღებული თავიდან ფეხებამდე ის მუსრს ავლებს ხელი-ფეხ შეკრულ მცხოვრებთ. ყოველ დღე, ყოველ საათში მისი გაღეისილი ხმალი შეუბრალებლათ ტრიალებს ქრის საუკეთესო შვილთა შორის. ბევრი ტანჯვა განუცდია ქართველ ხალხს უცხო ურდოებისაგან, მაგრამ ასეთი დაუსრულებელი — არასდროს.

განუზომელია მისი ტანჯვა, წარმოუდგენელია მისი დევნა და შევიწროება. როგორც წინეთ, ისე ახლაც, საესეა ციხეები, სარდაფები, ბნელი საკანები, გადაკარგული კუთხეები.

27 ტანჯვისა და ვაების წლები! 27 წამებისა და გლოვის წლები! მაგრამ ქართველი ხალხი მაინც არ გატყდა, „მწარე ხვედრს“ არ დაემორჩილა, მუცელზე ხობვა არ დაიწყო, ბატონის წინაშე ქედი არ მოიხარა, თავის მეობა არ დაჰკარგა. 27 წლის ბრძოლის სიმძიმემ ის ვერ წააქცია, ის ახლაც, როგორც 27 წლის წინეთ, ამასათ სდგას თავის ქვეყნის საგუშაგოზე. მომხდარმა უკუღმართობამ მას გზა ვერ აუბნია, მტერს ვერ შეაჩრგა, მტერი მოყვრათ არ მოაჩვენა და მოყვარე—მტრათ.

რუსის ჯარი ჩვენში წინეთაც შემოვიდა, მარა მაშინ ის შემოიყვანეს ქვეყნის დასაცავათ, უცხო მტრის მოსაგერიებლათ, ხალხის ფიზიკურათ გადასარჩენათ. ახლაც ვის წინააღმდეგ შემოიყვანეს წითელი ჯარები ქართველმა კომუ-

ნისტებმა? შემოიყვანეს საკუთარი ქვეყნის დასაპყრობათ, საკუთარი ხალხის დასამორჩილებლათ და მათზე გასაბატონებლათ. თავისუფალი ქვეყანა, წელში გამართული ერი, შეკრეს და ბორკილებ დადებული მოსკოვს მიართვეს. დაჰკარგა ქვეყანამ დამოუკიდებლობა, დაჰკარგა ხალხმა თავისუფლება, გამეფდა უსაზინდელესი დესპოტია და ამ დესპოტიის ბატონობას ყოველ წელს დიდის ხენით იღვესასწაულობენ ქართველი კომუნისტები!

და ყველაზე საშინელი ისაა, რომ ამ დღეს გამოჰყავთ ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი და მთელი დღე აძახებენ ვამას და გაუმარჯოს იმათ სახელზე, ვინც გუშინ მათი ქვეყანა დაიპყრო და დააქცია. ასე ექცეოდნენ ბარბაროსები ქრისტიანებს, როცა აძულდებდნენ მათ ეფურობებისათ იმ ხატზე, რომელზედაც ისინი წინა დღით დაჩოქილი ლოცულობდნენ.

ღიას, ეს მათი დღესასწაულია, მათი საკუთარი, ჩვენს ხალხს ამაში წილი არ უდევს. პირიქით, ის ამ დღეს, ძაძებში გახვეული, იგონებს თავის ერდგულ შვილთა გაბნეულ საფლავებს, იგონებს თავის ჩაგვრას, დამცირებას, განვლილ შავ დღეებს, აწმყოს უბედურებას, მომავალ ვაებას. და ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუთრგებელს ხდის მას, კიდევ უფრო მეტად უღვივეებს ბრძოლის სურვილს, კიდევ უფრო მეტის მოუთმენლობით ელოდება ის იმ დროს და იმ საათს, როცა დროშა თავისუფლების ისევ აფრიალდება მისი ქვეყნის მწვერვალზე.

წლები გადიან, ბრძოლა გრძელდება. ხან ღია, აშკარა, ხან ჩუმი დუმილით და ამ დუმილში ღვივის და ფოლადდება მისი რწმენა და იმედი.



### საბჭოთაი და ევროპა

(ჩეხიის ამბების გამო)

თვეზე მეტია ჩეხოსლოვაკიის ახალი ტრადიციული იპყრობის მთელი კაცობრიობის ყურადღებას. რკინის ფარდა, რომლის იქით ეს სლავიანური ქვეყანა არის მომწყვდელი, ვერ ფარავს იმ საშინელ სურათს, რომელიც იშლება ევროპის შეუავლში, დემოკრატიისა და ევროპიულ ცივილიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელ ერის ტემპარიტათ უბედო ცხოვრებაში.

საბჭოთა ჩექმები ჩადგა ამ პატარა ერში და თან შეიტანა საბჭოთა „სამოთხე“, რომელიც აგერ 30 წელიწადია „აბედნიერებს“ 200 მილიონ მცხოვრებლებს სტალინის სამფლობელოში.

აჩქარებული ტემპით, წინასწარი გამზადებული ცერემონიისაღი, წინასწარ დამუშავებული მეთოდით და საშვალელებით ხდება თავისუფალი და თავისუფლების მოყვარული ერის გასაბჭოება, რაც ნიშნავს მის სულიერი და მორალურ დამონებას.

და ევროპამ არა თუ დაინახა — დანახვა აქამდეც შეუძლო — არამედ იგრძნო ნამდვილი რეაქციონური სახე და ანტიკომუნისტი შინაარსი საბჭოთა რეჟიმისა.

აქამდე საბჭოთა ქვეყანას მხოლოდ შორიდან შესტკეპროდენ, ხშირათ ყურადღებას არ აქცევდენ, და თუ აქცევდენ, მისი არსის გაგებას არ ეძალებოდენ. რუსეთი გაუგებარ სფინქსათ იყო მიჩნეული, მაგრამ მაინც და მაინც არც იმდენად საშიშო სფინქსათ, რომ მის გამოცნობაზე დიდათ თავი შეეწყუბებიათ.

გუშინ კიდევ მას ელოლიაგებოდენ და ეფერებოდენ. ევონათ ამით მოსკოვის დიქტატორების გულში რაიმე ადამიანურ გრძნობებს გამოავლიდებდენ.

მას არაფრით ჩაუთვალეს ბალტიის ზღვის მონაპირე რესპუბლიკების ჩაყლაპვა, ნახევარი პოლონეთის დაკავება, ხოლო როცა მან ომის შემდეგ საბჭოთა დიქტატორული რეჟიმით დააჯილდოვა რუმინეთი, უნგრეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი და თვით პოლონეთი, რომლის თავისუფლების დასაცველათ დაიწყო უკანასკნელი საშინელი ომი, დასავლეთის კულტურული სახელმწიფოები მხოლოდ საპროტესტო ნოტებით დაკმაყოფილდენ, კრემლის ბატონებს დადებულ პირობების დარღვევა და ამ ქვეყნებში დემოკრატიულ რეჟიმის შემოუღებლობა დაავედრეს და

გაჩუმიდენ. ფიქრობდენ პროტესტით და დათმობით „ქკუაზე მოიყვანდენ“ გუშინდელ მოკავშირეს, არც დიდათ ნანობდენ ამ ქვეყნების საბჭოთა ბრწყალეზში ჩავარდას. იქ, ამ ქვეყნებში, წინეთაც არ იყო ევროპიული წეს-წყობილება დიდათ გაბატონებული, ამას გარდა მათში მხოლოდ პოლონეთი და იუგოსლავია ითვლებოდა მოკავშირეთა რიცხვში. სხვები მოპირდაპირე — მტრის ბანაკში იყვნენ ომის დროს მოქცეული და ეს გარემოებაც აწილებდა მათ გულფიცხობას.

ხედავდენ, უეჭველათ, ხედავდენ, საით მიისწრაფოდა საბჭოთა მესვეურების გულზვიადობა. მაგრამ მაინც არ ევონათ, ვერ წარმოედგინათ თუ იგი ევროპის გულში შეიჭრებოდა.

ჩეხოსლოვაკიის ამხებმა ეს ილიუზიები საბოლოოთ გაანიავეს.

ჩეხია ეს წმინდა ევროპიული ენია, ერთდერთი სლავიანური მოდემის ერი, რომელიც მთლიანად ევროპის ცივილიზაციაზეა აღზრდილი და ამ ცივილიზაციის განვითარებაში თავისი წილი მიუძღვის, მისი უშვალე მონაწილეა; ნამდვილი ევროპა — ყველა მისი თვისებებით და ხასიათით. დემოკრატია ევროპის ტიპის — აქ ძლიერი იყო ერის სულსა და გულში დამოუკიდებლობის აღდგენამდეც, ხოლო განთავისუფლების შემდეგ იგი სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩამოიხსა. მას არ ყავდა თავის არისტოკრატია, რომელიც ადრევე გადაგვარდა, ყავდა მხოლოდ მდაბიო ხალხი, რომლის წილიდგან გამოვიდა ყველა მისი თანამედროვე კლასები, გლეხთა, მუშათა თუ ვაჭარ-მრეწველთა.

პიტლფრის უხეში ძალის გადაჯირგალებამ მის ზურგზე ამ ომის დასაწყისში — ვერ შეარყია მისი ცივილიზაციის ფუძეები და იგი ამ მძიმე გამოცდიდან გამარჯვებული გამოვიდა.

მაგრამ გამოვიდა იმისთვის, რომ სულ რამდენიმე წლის შემდეგ შეორქე არა ნაკლებ ველური რეჟიმის მსხვერპლი გამხდარიყო.

საბჭოთა რუსეთი მოვიდა მასთან როგორც მონათესავე ერი, სლავიანური მოდემის და თან მოიტანა სლავიანთა მეგობრული გაერთიანების ილიუზიები, რომლითაც პატარა სლავური ერები წინეთაც იკვებებოდენ. მოვიდა, როგორც მხსნელი გერმანულ საფრთხისაგან, ე. ი. უცხო



ბატონობისაგან.. და სამი წლის თავისუფალი სულის მოთქმაც კი არ დააცალა—წითელი ფაშისტური რეჟიმი თავზე მოახვია, უფრო საშინელი და დაუნდობელი.

გეგმანიის ფაშისტური შემოვიდა ჩეხიაში, როგორც გარეშე ძალა, შემოვიდა ამჟამათ, მტრულად, დასაპყრობათ. საბჭოთა გაიძვრაები კი მეგობრის ქურჭით, მაგრამ აღმოჩნდნენ პირველზე უფრო დაუნდობელნი და გაუტანელნი. პირველმა მოიახზოვა ფიზიკური დამოწმობა, მეორე შეიჭრა მის სულსა და გულში და მოითხოვს მისგან ყველაფერს: ბორკილს ადებს აზრს, გრძობას, რწმენას, ჰუმანიურობას; მოითხოვს სულიერ მონობას, სტალინის მხის ლოცვას და თავის ჯალათების ქებით შემეკობას, მისი ბოროტ ნაშრომების პატენტურ გამართლებას. იგი თვით უდგენს პარტიებს, უმტკიცებს პარტიის ხელმძღვანელებს, გაზეთის რედაქტორებს და უკანანახებს სწეჩონ, რაც არ სწამთ, იყვირონ, რაც არ უნდათ, ამტკიცონ, რაც სიყალბით მიაჩნიათ, აქონ კრემლის ბატონები და ფიცით უმტკიცონ ერთგულება ასეთ დამონებისათვის.

მაგრამ ევროპის ხელმძღვანელო ყველაზე უფრო აღელვებთ, მე ვფიქრობ, არა მარტო ეს მონობის სულის დატრიალება, არამედ ის გარემოება, რომ ეს მონობა შემოიჭრა იქ, სადაც მათ დემოკრატიული კულტურის უდავო საბრძანებელი ეგულვებოდათ. ჩეხიის სახით თითქოს გვერდი ჩამოჭრეს თვით ევროპის ცივილიზაციას. და ეს როგორც ლახვარი დაესო ყველას გულზე. ახლა ყველამ იგრძნო თუ რა ყოფილა ის უსაშინელები ტოტალიტარული დიქტატურა, რომელიც დესამიწის მექანისელებს ადნობს და აღუღებს ადამიანის სახეობის მატარებელ არსებებს, ახრბობს მათში ყოველივე კაცურს და ავითარებს მხეცურ, პირველყოფილ ინსტიტუტებს. იგრძნო სოციალისტურმა წრეებმაც, რომელითაც საბჭოთა ანტიბურჟუაზიული პოლიტიკა და სოციალისტური ფრასეოლოგია იზიდავდა. მათი მეგობრული განწყობილება ევროპიელ კომუნისტურ სექციებთან მალე საშინელი მტრობათ იქცა. მათი თანაგრძობა თვით იმ სოციალისტურ პარტიებთან, უკეთ, პარტიის იმ ნაწილებთან, რომელნიც ძალით თუ ნებისთ კომუნისტების ფერხულში ჩაებნენ აღმოსავლეთ ევროპის გასაბჭოებულ თუ გასაბჭოებელ სახელმწიფოებში,—ბოლომევიკურმა მდინარემ წაიღო. თუ აქამდე კი დევ დასაშვებათ ხვილიდნ კომუნისტებთან შეთან

ნსმებულ მოქმედებას რომელიმე ბუღვარეთში ან რუმინეთში, დღეს ჩეხიის მწარე და ჩამაფიქრებელ გაკვეთილის შემდეგ, სადაც სოციალისტები თითქმის უბრძოლველად ჩამაჩრდნენ კრემლის აგენტებს, ყოველი ასეთი აქტი ანტისოციალისტურად არის მიჩნეული. ინგლისის მუშათა პარტიის გამაფრთხილებელი და გაბედული ხმა, ფრანგი სოციალისტების გაშმაგებული შეტევა, ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

ან იქით, ან აქეთ—ასე დგება დღეს საკითხი ყველასათვის. ორჭოფობას და გაუგებრობას ადვილი ეკარგება. და ეს გამომხსენებელია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სოციალისტური პარტიები ერთი მთავარს, ზოგან ერთადერთი მართველი ძალაა დღეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში.

ამ რიგათ, მიხვედრიდან—შეგრძობამდე, შეგრძობიდან—აქტიურ მოქმედებისაკენ—ეს გზა ფართო დემოკრატიული მასების გამოღვიძების, ეს გზა საზოგადოებრივი აზრის შემოქმედებითი ამოძრავების—დღეს გავლილია და ამით მოცემულია მტკიცე ფუძე დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური ხაზის მიმართულებიას.

ძველი ევროპა და მისი კულტურაზე აღმოცენებული ახალი ამერიკა—უკვე შეუდგენ, თუმცა მოგვიანებით, სათანადო სამზადისს.

ამ რამდენიმე წლის წინეთ ლ. ბლიუმის მიერ გამოსროლილი ლოზუნგი ევროპის გაერთიანების, რომელიც საბჭოებთან მეგობრობის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულყო, ახლა ხორციელდება, მაგრამ, როგორც საბჭოთა დიქტატორულ რეჟიმისაგან თავდაცვის საშვალაა. დღეს ამერიკის ხელმძღვანელ წრეებიც ისე, როგორც დასავლეთ ევროპის მმართველი წრეები ერთსულოვანი არიან იმაში, რომ დასავლეთ ევროპის გაერთიანება ამა თუ იმ ფორმით აუცილებელი მოთხოვნილებაა.

ევროპის კულტურამ უნდა თავი დაიცვას რუსეთის ნახევრათ ბარბაროსული უკულტურობის, მაგრამ დიდი ცბიერებით და თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებულ საბჭოთა აღმოსავლეთისაგან. როგორც ამ უკანასკნელ ომში, ისე დღეს, ომის შემდეგ, ერთმანეთს უპირდაპირდება, თუმცა სხვადასხვა სახით, დემოკრატიული კულტურა და ტოტალიტარული რეჟიმის მბრძანებლობა, ანუ ცივილიზაცია და სიველურე, ადამიანობა და მონობა. და დგება დილემა: როგორც ძველი რომი დაცვა მარბაროსთა შემოსევისაგან,



ისე უნდა დაეცეს დღესაც დიდი კერა ცივილიზაციის, კულტურის, ჰუმანიზმის, თავისუფლების, რომელიც ევროპის სახელს ატარებს და ხელახლა ჩაეფლას კაცობრიობა რამდენიმე საუკუნით მაინც უკულტურობისა და ველურობის უძირო ზღვაში, რომელიც აღმოსავლეთიდან, რუსეთის დამზობილი რევოლუციის ნამსხვრევებიდან მოზობოქრობს, თუ გაუძღვება იგი ამ ახალ შემოტევებს, მოიშორებს ამ მომაკვდინებელ საფრთხეს და გაიკაფავს გზას მომავალი განვითარებისათვის შინაგანი ძალებისა და შინაგანი მოთხოვნილებების მიხედვით? აი ასე დგას საკითხი. დღევანდელი ევროპის ძალა—ეს მისი კულტურაა, მისი სისუსტე—ის შინაგანი შიშოლა, ის არეგ-დარევა, რომელიც ძველი წყობილების შეწყვეტისა და ახლის დაუმყარებლობისაგან გამომდინარეობს. ასეთი გარდატეხის ეპოქა, როგორსაც განიცდის ევროპული კულტურული კაცობრიობა, ყოველთვის დამძიმებულია შინაგანი ტიდილით, ეკლიბრის, მგარი ხერხემლის უქონლობით, ქანაობით და რყევით, რაც განსაკუთრებით ემჩნევა საფრანგეთს და იტალიას, ნაკლებ ინგლისს. და ამით სურთ სარგებლობა მოსკ, მბრძანებლებს, რომ თავის უხეში ბატონობის უღელი ვააქცილონ ძველი ცივილიზაციის მთელ კონტინენტზე. ამით სარგებლობენ ის პარტიები, თუ ჯგუფები, რომელნიც კომუნისტური სახელწოდებით, თუ საბჭოთა მეგობრების საფარველით ეწევიან დამარღვეველ მუშაობას ევროპის ყველა სახელმწიფოში. აღსანიშნავია ერთი რამ: ფაქტიურათ ამ კომ. პარტიებმა უკვე დაკარგეს იდეურობის ყოველი ნიშანწყალი, ძველი პრინციპების სიწმინდე და მიმზიდველობა. მათთვის დღეს მუშათა კლასიც ისეთივე ღირებულებისაა, როგორც დაქირავებული მცველი ან მსღებელი. მათთვის დღეს ბურჟუაც და ფაშისტიც მისაღებია, თუ კი მათგან ხეირს გამოეღიან ე. ი. არეგ-დარევის შექმნაში ხელის შეწყობას. მათ თუ აქვთ რაიმე სახელმძღვანელო მისწრაფება—ესაა ხელისუფლების სათავეში მოქცევა, სახელმწიფო აპარატის დაპატრონება და მხოლოდ შემდეგისათვის მომხრავებული აქვთ მთელი სისტემა—პოლიციური ზომებისა საზოგადოების დასამორჩილებლათ. თუ მათ რაიმე იდეა ჰქონდათ იგი დღეს ერთ პიროვნების გაღმერთებაშია გათქვეფილი. ეს ღმერთი და მბრძანებელია სტალინი. ამიტომ დღეს აღარ არის, როგორც ხელმძღვანელი და მამობრავებელი

არც კომუნისტური მოძღვრება, არც საბჭოთა რეჟიმი, არც სხვა რამ იდეა, ვარდა დიდი სტალინის მორჩილებისა. პროლეტარიატის ინტერესები, ისე როგორც ინტერესები ადამიანის განთავისუფლების—ჩაიძირა სტალინიზმის მღვრიე მოჩქევში. დღეს რუსეთის მბრძანებელია ერთი მცნება:—სტალინიზმი. მსოფლიოს ე. წ. კომუნისტურ მოძრაობას შერჩენია ერთადერთი შინაარსი—სტალინიზმი. ისე, როგორც გერმანიის ნაციტური მოძრაობა იქცა ჰიტლერიზმით, ისე მისი მონათესავე კრემლის დიქტატურა მივიდა იმავე დასკვნამდე: ერთი პიროვნების კულტში, სტალინიზმში გაითქვიფა. და განცვიფრებულ ევროპის და დიდი კომუნისტური მოძრაობის მიმდევართ, რუსეთში რომ „ახალი მესიის“ აღმოჩენა სურდათ, ხელში შერჩათ აზიური ბონაპარტიზმი, ანუ აზიური ჰიტლერიზმი, რომელსაც არც სხვა სახე აქვს, არც სხვა სახელი, ვარდა სტალინიზმისა. და სწორეთ იმიტომ, რომ რუსეთში ამ ტოტალიტარულმა რეჟიმმა მიიღწია თავის უკანასკნელ წერტილს, თავის სრულ გამოფიტვას ყოველივე საზოგადოებრივი და ადამიანური შინაარსისაგან, სწორეთ იმიტომ, რომ იგი იქცა ერთი პიროვნების და მხოლოდ ერთი პიროვნების რეჟიმით—მას დიდი ხანის მომავალი არ უწყურია. შინაგან კრიზისის დამძიმების მიუხედავათ, ევროპის მალალი კულტურა, გვწამს ჩვენს, გაუძღვება ამ ნახევრათ ბარბაროსულ რეჟიმის შემოსევას. დემოკ. ძალთა საერთო რაოდენობა მსოფლიოში მაინც დიდათ სჭარბობს საბჭოთა რუსეთისას. დღემდე ეს ძალები გაფანტული იყო სხვადასხვა სახელმწიფოებში. საზოგადოებრივი აზრის მომზადების შემდეგ, რაც დღეს რეალურ ფაქტათ უნდა ჩაითვალოს,—ამ ძალთა საერთო ამოძრავება, თავდაცვისათვის დაარზმვა, ექვი არ შეგვდის, ამ უკანასკნელ და უსაშინელეს საფრთხესაც მოაშორებს კაცობრიობას.

ჩეხო-სლოვაკიის საზინელი სულთერი და ფიზიკური ტანჯვა—კაცობრიობის გამოფხიზლების მსხვერპლათ შეწირული, გამოიღებს თავის ნაყოფს. მასარკის თავგანწირვა და მისგან გამოწვეული გამოხმაურება ამის უდაო თავდებითა.

და დაჩქმუნებული ვართ ეს ნაყოფი უარყოფითი იქნება კრემლის ტოტალიტარულ ხელისუფლებისათვის და სასარგებლო მისგან დაჩაგრულ ერებისა და ხალხებისათვის და, მაშასადამე, საქართველოსათვისაც.

რ. არსენიძე



### სამართაშორისო მიზნისა

ჩეხო-სლოვაკიის უკანასკნელ ამბებმა მთელი მსოფლიოს პრესისა და საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიიპყრო. ყველას თანაგრძნობა გარდა, რასაკვირველია, კომუნისტებისა ჩეხების მხარეზეა.

ამ ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაში მოულოდნელი აჩაფქურია. მისი ტრადიციული დაიწყო სწორედ მაშინ, როცა მთავრობის თავმჯდომარეობა და უმთავრესი პორთფელეები საშინაო და საზღვარეულო სამინისტროებისა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს ჩააბარეს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტია, როგორც პარლამენტში, ისე მთელ სახელმწიფოში დიდ უმცირესობას შეადგენდა.

ამ შემთხვევით კომუნისტებმა მოხერხებულად ისარგებლეს. სახელმწიფო აპარატის ბოლშევიზაცია ისეთი სწრაფი ნაბიჯებით წავიდა წინ, რომ კომუნისტური პარტიის Coup d'etat-ის საშიშროება ყველასათვის ცხადი გახდა. ამან გამოიწვია მთავრობაში მყოფ დემოკრატიული პარტიების 12 წარმომადგენლის პროტესტი, მათი მთავრობიდან გასვლა და მოთხოვნილება, რომ საშინაო საქმეთა მინისტრი გადაყენებული ყოფილიყო და ეს პორთფელი სხვისთვის ჩაებარებიათ.

ამ ამბებში საიდუმლო საქმიანობას ფარდა აესხდა და საამკარაოზე გამოვიდა მოსკოვის ოფიციალური წარმომადგენელი, მისი ყოფილი ელჩი ჩეხო-სლოვაკიაში—ზორინი. ეს უკანასკნელი დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა. ეს ოფიციალური პირი 19 თებერვალს პრეზიდენტმა გააჩივრა და აშკარათ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარის—კომუნისტ გოტვალდის საქმიანობას ხელმძღვანელობდა.

24 თებერვალს, მთავრობის თავმჯდომარე გოტვალდი პრეზიდენტ ბენეშთან გამოცხადდა და მოსთხოვა მთავრობიდან 12 მინისტრის გასვლა დაედანტორიება და მას დასამტკიცებლათ ახალი მთავრობის სია წარუდგინა, სადაც უმრავლესობას კომუნისტები შეადგენდა.

ბენეში გოტვალდს ამ აქტის არა კონსტიტუციონალური მხარეზე მიუთითებდა და პირველ შეხვედრის დროს მის დამტკიცებაზე უარს ამბობდა. მაგრამ 25 თებერვალს—კომუნისტების მიერ მოწყობილ მანიფესტაციების და დემონსტრაციების დღეს—გოტვალდი კვლავ გამოცხადდა


ბენეშთან და მას მუქარით მისი ახალი მთავრობის მიღება და დამტკიცება მოსთხოვა. ბენეშმა დაბოლოს ეს მიიღო—და დაამტკიცა.

ასეთი სწრაფი და ადვილი გამარჯვებისთანავე კომუნისტები შეუდგნენ „მოქმედების კომიტეტების“ დაარსებას ყოველგან. იწყებს მასიური დანტორიება და წმენდა კომუნისტებისათვის არა სასასურველ ელემენტებისა. მთავრობიდან და პარლამენტიდან აძავებენ მინისტრებს, დეპუტატებს, სურსევენ განეთებს, ცვლიან რედაქტორებს, ადგილიდან ითხოვენ მაღალ ჩინოვნიკებს; მოწინააღმდეგეთ და სხვანაირათ მოაზროვნეთ აცხადებენ ჯაშუშებათ და მოლაპატებათ. დაშალეს ყველა პარტიების ახალგაზრდათა ორგანიზაციები და ყველანი კომუნისტური ახალგაზრდათა ორგანიზაციას შეუერთეს. ყველა სკოლებში სტალინის სურათის ქონება სავალდებულო ხდება. ჯარი, პოლიცია ხელში ჩაივდეს.

მრომის მინისტრი ამზადებს ინსტრუქციებს, რომლის ძალით ყველა ისინი, ვინც დიდ და პასუხისმგებელ პოსტებიდან იქნა დათხოვნილი, გაწესებული უნდა იქნან სხვადასხვა გვარ ფიზიკური შრომისთვის მიწათ მოქმედებაში, ხე-ტყის სამუშაოებზე, მალარობაში, სახლების აშენების საქმეებზე, გზის გასაკეთებლად, თუ რკინეულობის სადნობ ქარხნებში და სხვა. სავსებით მზგავსათ იმ წესებისა, როგორც საბჭოთა რუსეთში პოლიტიკური ტუსათ ამუშავებენ.

ყველა ამის შემდეგ სავსებით გასაგებია ის განცვიფრება და ხშირად მკაცრი მსჯავრიც, რომელიც გამოიწვია ჩეხო-სლოვაკიის სოც. დემოკრატიის საქციელმა ევროპის დემოკრატიულ და სოციალისტურ წრეებში.

თუ სოც. დემოკრატია ფიროლინგური ჩადგა კომუნისტების რიგებში და მათთან თანამშრომლობს, ეს არ არის გასაკვირი: ის წინადაც კომუნისანობდა, იყო ელჩათ მოსკოვში და ამ უკანასკნელის რჩევით და ჩაგონებით გახდა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარე. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ფიროლინგური სწორედ ამ კომუნისანობისათვის იქნა გადაყენებული სოც. დემ. პარტიის უმრავლესობის მიერ (70%-ით) პარტიის თავმჯდომარეობიდან. მაგრამ როგორ მოხდა, რომ პარტიის ახალი თავმჯდომარე ლოსმანი «Coup d'etat»-ის შემდეგ ფიროლინგთან ერთად გოტვალდის მთავრობაში შევიდა, ანდა პარტი-



ის უმრავლესობა, რომელიც კიდევ რამოდენიმე დღის წინ კომუნისტებს სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა, უჭბათ მათ დაემორჩილა, ეხლა მათთან თანამშრომლობს და მთელი ამ ბნელი საქმიანობისათვის თავის თავზე პასუხისმგებლობას ღებულობს?

კომუნისტებთან ერთად მომუშავე ჩეხო-სლოვაკიის სოც. დემოკრატებმა, უეჭველად, საფეხებით დაიმსახურეს ის საყვედური და უკმაყოფილება, რომელიც ინგლისის მუშათა პარტიამ გამოთქვა, მათი ამ უკანასკნელი ამბების დროს საქციელის გამო.

არა ნაკლებ, თუ არა კიდევ მეტათ, განცვიფრებული დაჩრდასაერთაშორისო აზროვნება ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტის—ბენეშის და საგარეო საქმეთა მინისტრის—ჟან მასარიკის მოქმედებით.

ბენეში დასთანხმდა, რომ გოტვალდს მთავრობიდან მოსთვიეს არა სასურველი 12 მინისტრი გაეგდო და მისი ახალი მთავრობა მიიღო და დაამტკიცა.

ჟან მასარიკი კი დარჩა მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრათ და კომუნისტებთან თანამშრომლობას განაგრძობდა. პირველ დღეებში განცხადებაც გააკეთა: ახალი მთავრობა კონსტიტუციის თანახმად არის შედგენილი და ის დემოკრატიული გზით ივლისო, და სწორეთ ორი კვირის შემდეგ ის „ფანჯარიდან გადავარდა და თავი მოიკლა“.

ძნელია ახსნა ასეთი საშინელი სულიერი ტრადიდიისა. მაგრამ შეიძლება კაცმა, ზოგ სხვა ახსნათა შორის, ერთი რამ წარმოიდგინოს: ეგებ მასარიკმა იფიქრა, რომ მთავრობაში დაჩრებით ის მოახერხებდა თავისუფლად მუშაობას და მისი ქვეყნისათვის სარგებლობის მოტანას, მაგრამ სულ მალე საფეხებით წინააღმდეგში დაჩრმუნდა და მის წინაშე დაისვა ტრადიკული დილემა: ან საფეხებით დამორჩილება, ან შექმნილ მდგომარეობიდან თავის დახწევა - გაცლა - სიკვდილი. ალბათ, მისი შეფასებით დღევანდელ პირობებში ის მის ქვეყანას თავისი სიკვდილით მეტ სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ცოცხალი, მაგრამ ღირსება აყრილი და გაბანებული.

კიდევ უფრო ნაკლებათ სანატრელია ბენეშის მდგომარეობა. ის ითვლებოდა მოწაფეთ და ახლო თანამშრომლათ ჟან მასარიკის მამის—ტომას მასარიკისა, რომელიც პიროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი თავისუფ-

ფლების საუკეთესო მოციქული და მქადაგებელი იყო. ტომას მასარიკთან ერთად ბენეშმა დიდი როლი ითამაშა და მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თავისუფალ ჩეხო-სლოვაკიის შექმნაში და დაარსებაში. დღეს კი მან ხელი მოაწერა თავისუფალ ჩეხო-სლოვაკიის მოსაპობას და მისი თანამემამულეთა გარეშე ქვეყნისადმი დამონება—დამორჩილებას.

ისტორია სულ ადვილად დაივიწყებს, თუ რა მოსაზრებით ბენეშმა ქედი მოიხარა დამყრობლების წინაშე, ვითომც მას ამით სინჯლის ღვრის ატოენა უნდოდა, მაგრამ ისტორია არასოდეს დაივიწყებს იმას რომ მან საერთოდ ქედი მოიხარა ასეთ კრიტიკულ მომენტში და მისი ყრის და სახელმწიფოს დასაცველად და უდიდესი უსამართლობის დასაგმობად გაბედული სიტყვა ვერ სიტყვა და ხმა ვერ აღიმალა.

სახელმწიფო მოღვაწენი რომ მზგავს მეჭარებს ასე ადვილად ხშირად წაექცია, დიდი ხანია ამ ქვეყნათ თვისუფლება არსად აღარ გადაჩრებოდა.

კ. ზ.

### ქართველ გოგონას

შორით შორს გადახვეწილი  
მე ხელში ვიღებ კალამსა,  
სულით და გულით მოგიძღვნი  
აღფროთოვანებულ სალამსა.

ქართველი ქალი წარსულში  
იყო დიდება ერისა,  
მებრძოლ შვილების აღმზრდელი,  
დამცველი ჩვენი ქვეყნისა.

იყავ ზნეობით მაღალი,  
მშრომელი მაღალ წესისა,  
კობტა ფაქინი, ლამაზი,  
ვით ანგელოზი ზეცისა.

შენი მშობლების იმედი,  
მოსიყვარულე ქვეყნისა,  
კარგი შვილების აღმზრდელი,  
დიდება ჩვენი ერისა.

ბაბუა ვალდია გოგუაძე.



ემიგრაცია და მისი მოვალეობა

II

პირველ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა აგრესიამ შესაძლებელი გახდა ე. წ. დასავლქთაის ბლოკის შექმნა; რომ მანვე გამოიწვია „მესამე ძალი“ წარმოშობაც. მავრამ, თუ წინეთ ლ. ბლიუმი მოითხოვდა ასეთი ბლოკის შექმნას საბჭოთა შეგობრობის საფუძველზე—დღეს ის შენდება თავდაცვის ნიადაგზე და მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნით. დემოკრატის აქვს უფლება და მოვალეობაც დაიცვას თავისი თავი და რამდენათ ის ძლიერი იქნება ამ ხაზზე, იმდენათ უფრო ადვილათ შეესძლებს აშოროს კაცობრიობას მოსალოდნელი ომის საფრთხე, რაც იქნება მისი უკიდრესი დამსახურება ყველა ხალხებსას წინაშე. იქვე ვსწერდით, რომ ემიგრაცია უნდა იყოს მუდმივად, რომ ამას ავალღებს მას პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მაგრამ მასტრო მუდმივადლობა როდი ემარა. იყო შეუზღუდელი და იყო შეზღუდული—ეს არაფერს არ ნიშნავს. საჭიროა აქტიობა, საჭიროა მუშაობა. მუშაობა პოლიტიკური, მუშაობა ორგანიზაციული, მუშაობა კულტურული.

ქართულ ემიგრაციას დღეს ერთგვარი გულგატეხილობა ემჩნევა. დიდ ომში ის საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას ელოდა. ეს არ გაუმართლდა. ვერც ახლა ხედავს რაიმე საზღვარს, რომელსაც შეეძლოს გავლენა იქონიოს ამ ხელისუფლებასზე, ამიტომ მას იმედი ეკარგება, ეძლევა სასოწარკვეთილებას და ამ ნიადაგზე ზოგი მათგანი ჩავარდა მქორე უკიდურესობაში და გამოსავალი საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებაში ნახა და უკან გაბრუნდა. ეს პესიმი-სტური კონცეპცია არის, უეჭველათ, შედეგი ან დაღლილობის, ან გულგატეხილობის, შეიძლება ორივესა ერთად. ამიტომაც რომ ქართული ემიგრაცია დღეს ერთგვარ კრიზისს განიცდის. მას მართებს სერიოზულათ დაფიქრდეს და მის აზრებს თავი მოუყაროს....

ფაქტია რომ ქართული ემიგრაცია დღეს დაშლილია, დაფანტულია, დაქაჩულია. რატომ მოხდა ეს და რა იყო ამის მიზეზი—ამის გამოკვლევა და გაკიდება დღეს ჩვენ არ შეგვიძლია. დღეს უნდა საერთო ძალ-ღონით შევეცადოთ მის თავის მოყრას, მის ფეხზე დაყენებას, და რაც მთავარია, მისი პრესტიჟის აღდგენას. უამისოთ შეუძლებელია რისამე გაკეთება, რადგან თუ სა-

ფუძველი დანგრეულია, მაშინ კედლების აღმენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია—გვასწავლიდენ ვერა კიდევ „დედა - ენა“-ში. უნდა იქნეს აღდგენილი ყველა ის საზოგადოებრივი ორგანოები, რომლებიც გქონდა ომამდე. ორგანიზაციები უნდა იქნენ მუდმივ კონტაქტში ერთმანეთთან, დაეხმარონ ერთმანეთს საერთო მუშაობაში და ეს მუშაობა და მოქმედება უნდა შეუფარდოთ იმ ერებს, ამ სახელმწიფოებს, იმ მართველ წრეებს, რომელთაგან რაიმე თანაგრძობას გამოველით და რომელნიც ადვილათ გაიგებენ პატარა ერების სურვილს იქონიონ დამოუკიდებელი არსებობა.

დღევანდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ წამოაყენა მთელი რიგი საკითხებისა, რომელთაც ჩვენი ქვეყნისათვის სამკედრო - სასიცოცხლო მნიშვნელობა ეძლევა. ყველა ეს საკითხები უნდა დამუშავდეს, უნდა იქნეს შესწავლილი, გავერკვეთ მასში, შევიმუშავოთ საერთო შეხედულება და ეს ჩვენი საერთო, კოლექტიური აზრი ემცნოს მტერსაც და მოყვარესაც. ის უნდა ემცნოს, პირველ ყოვლისა, მსოფლიოს ყველა პროგრესულ ძალეს. უნდა შევითვისოთ საბოლოათ ის აზრი, რომ გარეშე საერთაშორისო პროგრესულ ძალებისა ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე დახმარება გაუწიოთ ჩვენს ქვეყანას. ჩვენ გვეყვება და გვეყავა ძველი შეგობრები, გადაუდებელია მათთან კავშირის აღდგენა. ამავე დროს უნდა შევიძინოთ ახლები და ყველა ამათთან ენის გამოწახვა მოგვეცემს საშვალებას ქართული საკითხის გადასაბმელათ იმ დიდ მოძრაობასთან, რომელიც ერთა დამოუკიდებლობისაკენ მიიშრება. და თუ ასეთ საერთო მუშაობაში გამოვიჩენთ ერთსულოვნებას—ქართველი ემიგრაციის ხმა უთუოთ არ დარჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. და ეს განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენს ბედში ჩაცვინდენ მთელი რიგი დღემდე სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით თუ რა ძნელი და რთულია ის შინაური დაბრკოლებანი, რომლებიც საერთო მუშაობას ეღობებიან. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ის არ არის დაუძლეველი. უთანხმოება, ერთი მქორის დაპირისპირება, შეხლა-შემოხლა—ეს მუდამ ყოფილა და იქნება.



ეს ემიგრაციის თანდაყოლილი სენია. მისი აცი-  
ლება არც ქადაგებით შეიძლება და მას არც  
„ჭკუის სწავლება“ უშველის. მაგრამ თუ ყო-  
ველივე ამის აცილება (შეუძლებელია—ის კი  
უეჭველათ, შესაძლებელია და სავალდებულოც  
რომ შევექნათ ისეთი პირობები, ისეთი ატმო-  
სფერა, რომლებიც შესაძლებლათ გახდებოდეს ერ-  
თმანეთის გაგებას საერთო თანამშრომლობი-  
სათვის. დღევანდელი პრაქტიკული საქმიანო-  
ბის ხელის შემშლელათ ვერ გამოიღვება და არც  
უნდა გამოიღვეს უთანხმოებანი მომავალი პე-  
რსპექტივის შესახებ და არც ის - თუ რა იქნე-  
ბა ქვეყნის აღდგენის შემდეგ. ყოველივე ეს არ  
გულისხმობს, რასაკვირველია, არც ჯგუფების  
დაშლას, არც პარტიების გაუქმებას, არც მათი

პროგრამის გადასინჯვას. პირიქით, თვითუ-  
ლმა მათგანმა ჩვეულებრივათ უნდა არკვიონ  
თავისი სპეციალური საკითხები, აკეთონ თა-  
ვისი პარტიული საქმეები. მარა ყველა ჯგუფს  
აქვს ერთი დიდი საერთო საქმე—ესაა ქვეყნის  
განთავისუფლება, ამიტომ ყველა ის საკითხე-  
ბი, რომლებიც დაკავშირებულია საამისო მუ-  
შაობასთან, უნდა გახდენ საერთო მუშაობის,  
საერთო საქმიანობის შინაარსათ. ეს მიზანი იმ-  
დენათ დიდი და მაღალია, რომ, ვფიქრობთ და  
იმედი გვაქვს, არც ერთი ჯგუფი არ გამოიჩენს  
ჭირვეულობას და ყველაფრით შეუწყობენ  
ხელს ამ საერთო მუშაობის სასურველათ მო-  
წყობას.

გრ. ურატაძე

### ქართველ მოზაველთა მოვალეობა

საფრანგეთში დაბინავებულ ქართველთა კო-  
ლონიისაში ასამდე ბავშვი და ახალგაზრდაა ერთი-  
დან ოც წლამდე. მათი დიდი უმრავლესობა პა-  
რიზშია დაბინავებული. სასკოლო ასაკში მყოფნი  
ფრანგულ სკოლებში ლეზულობენ სწავლა-განა-  
თლებას და მათ ტოლ ფრანგთა წრეებში ატარე-  
ბენ დროს. მათ ირგვლივ ყოველივე არა ქართუ-  
ლია: ლაპარაკი, თამაში, მუსიკა და სხვა.

ჩვენი ინტერესი ქართველი ბავშვების ქართუ-  
ლად აღზრდას. საკმარისი არაა ზავუნისათვის  
ქართული საიხლი და წარმოშობა, საჭიროა მათი  
სულის, გონებისა და აზრის ყოველდღიური ქა-  
რთული წვრთნა, მათი ნიჭიანი არსების ქართული  
სინამდვილის ჩარჩოში, ქართულ კალაპოტში  
ჩაყენება. ამათ არ უნახავთ ქართველთა ქვეყა-  
ნა, ქართველთა სამშობლო, არ განუცდიათ და  
არ განიცდიან მის სილამაზესა და სიყვარულს.  
ფიზიკურათ სამშობლოსაგან მოწყვეტილნი, სუ-  
ლიერათ უნდა დაუახლოვოთ და დაუნათესავოთ  
მათ სამშობლოს. უნდა შევასწავლოთ მათ ქარ-  
თული ენა, წერა-კითხვა. ამის შემდეგ მათ უნდა  
შევასწავლოთ საქართველოს ეკოგრაფია, მისი  
მიმზიდველი ბუნებით, საქართველოს მდიდარი  
და შინაარსიანი ისტორია, ქართული მწერლობა  
და ლიტერატურა, ქართული სიმღერა-მუსიკა,  
ქართული ცეკვა-თამაში.

აი ის დიდი საქმე, რომელიც ქართული ემი-  
გრაციის წინა დღეს გასაკეთებელი და განსახო-  
რციელებელი. ეს საქმე მოითხოვს დიდ ყურა-

დლებას, დიდ ენერჯიას, დიდ მორალურსა და მა-  
ტერიალურ საშუალებებს.

ამ მიმართულებით ზრუნვა და მუშაობა დიდი  
ხანია სწარმოებს ჩვენს ემიგრაციისაში, მაგრამ მე-  
ტად სუსტი და მისი შედეგაც უმნიშვნელოა: ქა-  
რთველ ბავშვთა ერთი მესამედიც კი ვერ ლაპა-  
რავობს ქართულ ენაზედ.

არსებობს ქართველ მშობელთა წრე, რომე-  
ლმაც მოახდინა სასკოლო ასაკის ბავშვთა და  
ახალგაზრდათა აღრიცხვა, დაყო ოთხ ჯგუფათ  
კოდნის მიხედვით, მოიწვია მასწავლებლები  
და სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა. სა-  
მწუხაროთ მეტად მცირე რიცხვი ესწრება გაკვე-  
თილებს. უნდა აღინიშნოს რომ თვით ქართველ  
მშობელთა დიდი უმრავლესობა ვერ იჩენს ამ სა-  
ქმისადმი დიდ ინტერესსა და ეროვნულ შეგნე-  
ბას. ისინი ქართული ენის შესწავლის საკითხს  
უყურებენ სარგებლიანობის თვალთსაზრისით  
და არა ეროვნული. მათი ასეთი გულგრილობა  
გადაგვარების გზაზედ აყენებს მათ შევილებს და  
ეს ეროვნულ დანაშაულად უნდა იქნას მიჩნე-  
ული. ქართველმა დედ-მამამ არ უნდა აღზარდოს  
ისე თავისი შვილი, რომ მას თავისი გულის ტკი-  
ვილი მის დედაენაზედ ვერ უთხრას და ვერ გა-  
აგებინოს. ყოველი ქართველი მშობელი უნდა  
ღრმად ჩაფიქრდეს და შეიგნოს მისი ეროვნული  
მოვალეობა შვილისადმი და მშობელი ერისადმი,  
რომ უკანასკნელს პირველი არ დაეკარგოს და  
პირველს უკანასკნელი. სპარსეთის ფერეიდანში  
მტრის მიერ ძალათ ჩასახლებულ ქართველობას





დღემდე შეუნარჩუნებია ქართული ენა. იგივე შესძლო ოსმალეთის, შუა ანატოლიაში, ძალათ ჩასახლებულმა ქართველობამ. ნუ თუ ჩვენ, რომლებმაც ქართველ ერისა და საქართველოს სიყვარულით სამშობლო დავკარგეთ, არ გამოგვყვა ეროვნული სულისა და შეგნების იმდენი მარაგი, რომ ჩვენს პირველ შთამომავლობას გადავცეთ, რომ ჩვენს სიცოცხლეშივე არ ვიხილოთ შვილნი ჩვენნი გადაგვარებულნი და უცხოენნი.

ქართველ მშობელთა უწმინდესი ეროვნული

მოვალეობა ქართველებადვე აღზარდონ უცხოეთში დაბადებულნი მათი შვილები, რომ სამშობლოში დაბრუნებულეს თავი საკუთარ ერთან იგრძნონ. ქართველ მშობელთა წრე მჭიდროდ უნდა შეეკრას ამ მიზნის საერთო ძალებით განხორციელებისათვის. ეს საქმე ღირსია ქართული საზოგადოების ყურადღებისა, და მას არ უნდა აკლდეს მორალური და მატერიალური დახმარება მათ მიერ, რომელნიც საქართველოს მომავალზედ ფიქრობენ.

ელ. პატარიძე

**ლიტერატურული შენიშვნები**

გასულ საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ლიტერატურა იწყებს ეროვნულ ბრძოლის ხაზზე მოქმედებას, მისი მთავარი მოტივი ხდება ეროვნული შეგნების გაღვივება. რუსეთისაგან შექმნილ მძიმე პირობებში ის ვითარდება, განაგრძნობს ხალხის სამსახურს, ქმნის, ამზადებს კულტურულ ძალებს, ეროვნული ოჯახის მკვიდრ ნიადაგზე ასაგებად.

ეროვნულ შეგნების სიყვარულით გატაცებული 60—ან წლების ბუმბერაზი ილია, აკაკი, 80—ან წლებში ვაჟა და მათ მომყოლ მწერალთა მთელი პლევადის შემოქმედების სიძლიერე ამ ეროვნულ სულის განმტკიცების, გაძლიერების, ქართულ მეობის შენარჩუნების და დამკვიდრების საქმეს ემსახურებოდა...


დამოუკიდებლობის ხანაში მთელი ეროვნული ენერგია მოპოვებულ თავისუფლების დამაგრება-დაცვას მოხმარდა; გარდა ამისა 3 წელი ძალიან მცირე დროა ლიტერატურულ - მხატვრულ შემოქმედების ახალ ნიადაგზე გაშლისათვის...

ტყვეობაში კვლავ ჩავარდნილი ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა და საქართოდ მწერლობა ხელისუფლების საპრობაგანდო იარაღი გახდა, მან დაჰკარგა თავისუფალ შემოქმედების გაშლის საშუალება. არავინ უარყოფს ქართულ მწერლობის ზოგიერთ ღირსშესანიშნავ შედეგებს, რაც ქართულ ეროვნულ-კულტურულ მომწიფებისა და გამძლეობის ნაყოფია; მაგრამ თავისუფალ შემოქმედების გზები დახშულია იქ, სადაც გამეფებულია ხალტურა; სიტყვიერი თქმა წინასწარ დაკვეთით და ხელისუფლების პოლიტიკასთან შეგუებით—მოკლებულია ყოველგვარ ესთეტიურ განცდებს... დღეს ჩვენს ქვეყა

ნაში—ლექსი, მოთხრობა, რომანი, პოემა, იწერება ხელისუფლების მოსაწონად, ომის წინა ხანაში კიდევ ახერხებდა გამოცდილი კალამი პუკარსა და პუკარს შუა ქვეშარიტების ნაპერწკალი გაეჩაღებია, დღეს ასპარეზს სავსებით დაპატრონებია პარტიულობა, პარტიული ლოზუნგი, ხელისუფლებისაგან ნაკურთხი და მოწონებული...

ქართული მხატვრული მწერლობა წარსულში, —სიცოცხლის, სიხარულის, სიყვარულის, ბრძოლისა და გამარჯვების ხოტბა იყო, იგი დაჩაგრულთა გულის განკურნებასა და მხაგრულთა განკიცხვას ანდომებდა თავის შემოქმედების ძალას, დღეს კი იგი ძალადობის, ძლიერი პიროვნულ ბატონობის აღვირახსნილი შექებაა...

უცხოეთში ტყვეობის უჩვეულო, მაგრამ გადახვეწილობის მძიმე პირობებში მრავალ ახალგაზრდათა ცდები შემოქმედებითი შრომის გაჩაღებისა და დამკვიდრებისთვის არც ისე უნაყოფოდ ჩატარებულა, თუ გავიხსენებთ „კავკასიონი“-ს გარშემო შემოკრებილ ლიტერატურულ ძალოთა ნაყოფიერ მუშაობას. ჩვენ ვნახეთ ნაზი აგების პოეტ გასიტაშვილის მჩქეფარე ჰანგის ულერა, რომელიც უდროოდ ჩაიფურვლა, ახალგაზრდა ნიჭიერი რომანისტი კასრადე, —ქარხნის ატმოსფერამ გასაქანი რომ არ მისცა, ს. ბერეჟიანი, ნიჭით სავსე, ნახევრად მშვიდ-მწყურვალე, რეო ამონი — აბულაძე დასრულებული პოეტი, მგრძნობარე სიტყვის ოსტატისილიძორე მანწკავა—ნიჭიერი ლიტერატორი და კრიტიკოსი და მრავალი სხვანი. ჰქონებოდათ ამ ახალგაზრდებს ოდნავ ნორმალური ცხოვრების პირობები მათი ნიჭი და შემოქმედება უფრო მკვეთრად გაშლი-



და ფრთებს, მაგრამ მომავალი შაინც იტყვის, რომ მათ დასტოვეს შესამჩნევი კვალი...

დარჩენილთა შორის გ. ყიფიანის ჩანგს,— ტყვეობაში ჩაეარდნილ სამშობლოს ტანჯვის სურათები აეღერებს... მთავარი მოტივები, რომელიც მის პოეზიას განსაზღვრავს არის სამშობლოს სიყვარული და აქედან გამომდინარე ყველგან წითელი ზოლივით მოსჩანს გოდება ერის ბედზე, მის მდგომარეობაზე. ერთად - ერთი იდგება—საქართველოა, სხვა მოტივები მისი შემთხვევით ხასიათისაა; მისი შემოქმედება ორგანიზულად დაკავშირებულია ჩვენს დღევანდელ მდგომარეობასთან. პოეტი აზვირთებს პატარა პატარა ტალღებს ქართულ სინამდვილიდან, მის დღევანდელ ტანჯვა-ვაგებიდან და ლირიკულ ფორმებში ასხამს. საგნის მტკიცე შემოფარგვლით, უბრალო სადა, ტკბილი ქართული სიტყვით, მაგრამ მკვთათ შერძობიარე ტონით, მხატვრული ენტუზიაზმით და გემოვნებით ანვითარებს დასახულ თემას.

გუშინდელი ტრადიციით გულ დაშფვარი პოეტი მწარე სიტყვებით გოდებს:

„სტირის დღეები, ზეცა დაბერდა  
შენ სირცხვილისგან მიწავ, —გაფითრდი  
ვით საფლავის წინ შაეებში დედა  
გიცქერს მთა - წმინდა, მამა - დავითი...“

სამშობლო უბედურებით ბუნებაც კი დაშფუხრებულია. პოეტის მძლავრი სიტყვა-კაზმულობა, განცდა, მკვეთრად იხატება და შკითხველის გულს აფეთქებს: „მზემ დაიჩოქა ლოცვით სიონზე, სისხლით გადახმა ნინოს ვაზები“... ასეთია თქმა უსაზღვრო სევდისა და გოდებისა, საეცე შინაარსით, ემოციითა და ესთეტიური სილამაზით. ხშირად ფერადი საღებავებით ის აღვივებს რა ეროვნულ სევდას—მით სამარადისოთ ხდის ქართველის გულში ახლო წარსულის სინამდვილეს.. ხშირად თითქოს უიმედობის ხმები გაისმის მის ჩანგის ჟღერაში. თითქოს ცამ პირი შეკრა, ჩამოიღრუბლა სამუდამოთ და სამშობლოს ხილვით იმედ-გაცრუებული მხოლოდ მოსთქვამს, ქვითინებს, დასტირის წარსულს, აღარ ისმის ბრძოლის ყიყინა, აღარ ინთება იმედის კოცონი.. არა, ვფიქრობთ ის მძაფრი განცდების პოეტია. რეალობის გამომსახველი. ვანა უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველის გულში, სამშობლო მიწა-წყალს მოშორებულში არი შეიძლება გაიღვოს სევდა-კაემნის ნაპერწყლებმა? ხშირად, თითქოს ურიგდებით თავზე მოხვეულ უჩვეულო

პირობებს, მაგრამ ჩვენ გულის სიღრმეში ჩატკობლად ღვივის იმედის ნაღვერდალი და გვწამს, რომ ბოროტება მიიღწევა და ჩვენი ერი კვლავ დიდებით შეიმოსება...

ამ იმედით შეიარაღებული პოეტი, რომანტიულ ფორმებში—გაკავშირებს სამშობლო ბუნებას, იგი დიდი სიყვარულით, სინაზით და კრძალვით, გრძნობის სიმთვრალით აგვიწერს იმტრეთის მიდამოს, კლდის ნაწნავებში—წყარონი ვერცხლის რომ გადმოკიდულა, ბუდბუტებს დეღე, იშოლება ცაზე ღრუბლებში, ვით განასროლი ცეცხლის ყუმბარა...

მისი თაობის ტრადიციის მკაფიოდ გამოხატა მან მკვეთრ, მოსწრებულ თქმაში. თავისუფლების მოჩვენება, ბრძოლა მის შესანარჩუნებლად, უეცარი გადმოტყორცნა უცხოეთის უჩვეულო ცხოვრების მორეცეში... თვითეულ ჩვენთაგანს შეუძლია განცდიოთ და გოდებით თავის გულის სიღრმიდან ამოხეთქილად მიიღოს შემდეგი სიტყვები:

„ერთხელ მოველ ქვეყანაზე  
მხოლოდ ერთხელ მყავდა დედა,  
ცხოვრებამ კი გავლილ ვაზე  
დაშორება დამახვედრა.  
აწ მშვიდობით მშვენიერო  
ოქროს ჩადრით—ის დილა  
ტან შიშველა ჩემო ეზო.“ და სხ.

მაგრამ პოეტი გულ გატენილი კითხულობს: „ეხლა სად არის ეს ყველაფერი სახლი, ბუჯერი შვა ცეცხლი, თარო წითელი ჩექმით გადათელილი ჩემი აკვანი და სანეტარო...“

და თუ უცხოეთის ციფ მიწას უნდა მიებაროს ჩვენი მღელვარე—სამშობლოს მიწას მოწყურებული გული—აქაც ძვლებს სამეფოში ქართველი პოეტის ამაყ სულს მზად აქვს სათქმელი სიტყვა:

„—რომ მეც მქონდა ჩემი მიწა  
არ სჭიროდა გვამსაც ვალი“...

ილიასადმი მიძღვნილ ლექსში მას ახასიათებს მძლავრი ემოციანალობა და ოსტატურ სიტყვიერებაში ჩამოსხმული ღრმა აზრი,—

„თავზე დაგვენგრა დიდების დილა,  
შავი ღრუბლები აქსოეს არმიას,  
ბაზალეთის ტბას ცრემლებში სძინავს  
ოქროს აკვანიც ქარიშხალშია.“

ხშირად მას ახასიათებს მარტოობა, თავის სულში ჩახედვა, სულიერი ტანჯვა, მიტოვებულ

მოწერილი აზრები

ზალცბურგი (ავსტრია)

მიწა-წყლის მოგონებით დასცვიდინებულნი გულის ტირილი... დედის მოგონებით თითქმის ჩვენთაგანში აღვიძებს მიტოვებულ დედის სურათს, სახე დამწყვარი, ათრთოლებული ბაგენი, აცრემლებული თვალები, ჩვენი ფიქრით—ნაღვლით დათენთილი, მომტირალი რომ შემოგვყურებს და ყოველ დღე გვიგონებს...

ასეთივე ნაღვლითა და მწარე განცდებით არის შეზავებული ახალგაზრდობასთან გამოთხოვება... იქ ცხოვრება გვიტაცებდა, აქ კი იგი დავგათრევეს და სულს გვიხუთავს, იქ მწუხარება და ცხოვრების სიმძიმე სიხალისითა და იმედით გადაგვტონდა... იქ გული ყოველ დღე ღრმად ვიწვინებდა და ბედნიერად და მსუბუქდებოდა...

იქ იყო გატაცება, აღმადრენა და ჯიბრი საკუთარი მიწა-წყლის გამშვენიერებისა და აღამიანურ ღირსებათა დასაცავად, მის უფლებათა დასამკვიდრებლად. დღეს პოეტმა მოთქვამს, რომ მის სულიერ სამეფოში ყაზარმელი ცხოვრება გამეფებულია... აღამიანის გონებას გასაქანი აღარ აქვს, თავისუფალ შემოქმედებას ფრთები შეკვეცეს და მოქალაქეთ უბრძანეს იცხოვრონ, იაზროვნონ, იარსებონ ისე, როგორც მოუხდება გაბატონებულ ძალას თავის საკუთარ ძალა-სფლებების შესანარჩუნებლად... და აქ პოეტს თითქოს ძალა ღალატობს, იმედი ეკარგება, გულ დასერილი მოსთქვამს:

შვედობით ჩემო ახალ-გაზრდობავ  
დღეს უცხოეთის მფარვეს ჭაღარა,  
ბაღებს, ყვავილებს ჩემი მადლობა  
ცხოვრებამ დევნა გადმომხაბარა...“

მაგრამ უსამართლოთ დასჯილ და დევნილ პოეტის გულში არ შეიძლება ჩაკედეს სული პროტესტის, იმედის ტალღებში კვლავ შეცურდება, რადგან მას სწამს საკუთარ სამშობლოს მომავალი თავისუფლება და იგი უთვლის იქ დარჩენილ პოეტებს: „...მაგრამ ის იბრძვის გრიგალის რხევით და გაიმარჯვებს ასე იცოდეთ... სამშობლო არ მომკვდარა, იგი ვარსებობის გამო ხშირად გალურსული, აღეცხვებული თუ გულ ჩათხრობილი იმედინათა შესცქერის მომავალს და ეს გარემოება ათქმევინებს პოეტს:

„ის არ მომკვდარა, ისევ აღსდგება  
მკერდს შეგომოსავს ფერად ფარ ხშალით  
დროც გადაივლის ცეცხლის ნაბიჯით  
ისევ შევხდებით დღეებს დარიანს;  
სხვა მარგალიტით მოვიქსოვს შეებას

ქართველ ემიგრანტთა ერთმა მოზრდილმა ნაწილმა „მესამე რაიხის“ აგონია და აღსასრულიც ზალცბურგში განიცადა. იმ ხანებში ავსტრიის მთელი დასავლეთი და, კერძოდ და უმთავრესად, მთა-გორიან ზალცბურგის არე-მარე, უკან დახეულ, დემორალიზებულ ჯარებისა და ლტოლვილთა საფრად გადაიქცა. თუ პირველნი თავალბებულ „ეს-ეს“-ის ავანტიურის აყოლით აქ „გამაგრებაში“ დაეძებდნენ საცხებით განწირულ მდგომარეობის გამოსწორებას, უკანასკნელნი, პირიქით, ამერიკელების აქარებულ წინსვლის იმედით, მათ სფეროში მოქცევაში ხედავდნენ ხსნას აღმოსავლეთით მოწოლილი ხიფათისგან.

ლტოლვილთა უმთავრეს მასას, გასაგებია, ძველი თუ ახალი ემიგრაციის და მთელი ევროპიდან მობილიზაცია ქმნილი მუშების სახით, უცხოელობა წარმოადგენდა: პოლონელები, ბალტიელები, ბალკანელები, ფრანგები, რუსები,

მზიურ ოცნების სალი მცველები,  
დაცხრილულ მკერდზე გადაიშლება,  
სამფერ დროშების ცისარტყელები...“

ის გალაღებული შენატრის იმ დღეს, როცა  
„გრძობებს გადავშლი როგორც ცხვრის

ფარას

და, საღამურით გავყვები ქუჩებს.“

რადგან იგი აღნიშნავს: „პოეზია არ არსებობს, მშობელ მიწის ვარსკვლავი.“ ჯერ-ჯერობით ჩვენი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებამ თავმჯდომარეობა სამშობლოს ტანჯვის წიაღში და იგი უცხოეთში ატარებს სიმძიმე ხვედრს, ხშირად კეთილ-სიკეთით დატვირთულს—იმედით შემყურე სამშობლოს თავისუფლების მომოვებისა.

გ. ყიფიანი, ისე სხვები, რომელნიც ღვთიურ ნიჭით ბუნებას დაუჯილდოებია ჩვენი ქვეყნის სინამდვილის მოტივების მხატვრულად აუღერებოთ, ჩვენ სულიერ ტყვეობაში მყოფთ გვახლოვდნენ, მუდმივ სულიერ კავშირში გვაშყოფდნენ ჩვენს ქვეყანასთან და ამით გვიმსუბუქებდნენ უცხოეთის ცივი ცხოვრების ატანას...

ლესიპირელი.

საერთოდ საბჭოთა ეროვნებები, ამათ შორის ქართველებიც. 90 ათას მცხოვრებიანი ზალცბურგი ნახევარ მილიონიან ინტერნაციონალურ ქალაქად იქცა.

ომის დამთავრებისას ავსტრიის დასავლეთ ზონებში, დაახლოებითი ვარაუდით, 200—დე ქართული მოექცა, ამათგან, თითქმის ნახევარი, თვით ზალცბურგში და მის რაიონებში. ვინაიდან ყველა ესენი უსახსრო ელემენტებს წარმოადგენდნენ, პირველ ყოვლისა, საშუალო ვახთა მათი გამოკვების მოგვარება. სათანადო შუამდგომლობის თანახმად, ლტოლვილებზე მზრუნველობა საერთო მასშტაბით თვით სამხედრო მართველობა იკისრა. დაუფასებელი დახმარება აღმოუჩინეს ლტოლვილებს სასურსათო ამონათების სახით ყენევის და ამერიკის წითელმა ჯვარმაც.

მაღე გამოცხადდა რეპატრიაცია. მოვიდა კო მიჩიები, დაარსდა საამისო ლაგერები, მათ შორის ქართული სექციაც, და დიდი უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნების ვალდებული გახდეს ყველა ისინი, ვინც ომის და წყებისას ემიგრანტათ არ ითვლებოდა. დარჩენილებიდან ნაწილი წინეთ საცხოვრებელ ქვეყნებს დაუბრუნდა, ნაწილიც ბავარიაში გადავიდა. ამ უამად ზალცბურგში 30 კაცამდე ითვლებოდა. ამათგან ერთი ნაწილი ლაგერში ცხოვრობდა, ნაწილი კერძო ბინებში თუ საკუთარი ხელით შეკეთებულ დაბომბილ სახლებში. ამის გარდა, დაახლოებით ათ კაცამდე იმყოფება ინგლისურ ზონაში, ფრანკში, ინსბურგში და კლაგენფურტში.

ცხოვრების პირობების მხრით აქაური ქართველობა, ცხადია, ყველა დანარჩენ ლტოლვილების ბედს იზარებს და სანუგეშო არაფერისა. თუ პირველ ხანებში მათზე უფლებრივ-ნივთიერ მზრუნველობას სამხედრო მართველობა ეწეოდა, შემდეგ ეს, თანდათანობით, ადგილობრივ ხელისუფლების სფეროს დაუმორჩილეს. გასაგებია, რომ ეს უამრავი ლატაკი უცხოელობა ახლად ფეხადგმულ და ოთხ ზონათ დაფლეთილ ღარიბ ქვეყანას აუტანელ სიმძიმეთ, მეტ ზორცათ ევლინება. ამის ანარეკლია უცხოელების მიმართ შემოღებული ზოგიერთი მწესლუდებები, რომლებიც უფლებრივ სახელმწიფოსთვის შეუფერებელია. აქაური ლტოლვილი ჩაკეტილია ამერიკულ ზონის ვიწრო ჩარჩოებში, მას მისი გადაბიჯების უფლება არ აქვს. სანოვავის წიგნაკის

მიღებისა და ბინაში ცხოვრების უფლებისათვის ის ვალდებულია სათანადო მუშაობას ეწეოდეს და, რაღაც პარადოქსის სახით, თითქმის ყოველ ორ თვეში ცხოვრების ნებართვა აგრძელოს. ფიზიკურ შრომის გარდა მისთვის სხვა რამ ასპარეზი არ არსებობს და ასეთ სამუშაოს თავისუფლათ გამოცვლის უფლებაც არა აქვს (პიტლერის მემკვიდრეობა!). ის გადანათლებულია „დიპეტი“ და რაღაც უცნაურ კატეგორიათა გამოცხადებული.

თუ ასეთი სახის თუ სხვა მაგვარ მორალურ-შევიწროებასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ, რომ ის საკუთარ მძიმე შრომის ნაყოფს ვერ ხედავს და სისტემატიური შიმშილსაც განიცდის, გასაგები უნდა გახდეს მისი მოუსვენარი ლტოლვა, რაც შეიძლება მალე გასცილდეს აქაურობას და თავის შრომის გამართლების კუთხე მოსძებნოს.

ლტოლვილთა აქედან გაყვანის მისსია დაკისრებული აქვს აქ „ირო“-ს (საერთაშორისო ლტოლვილთა ორგანიზაცია). მაგრამ, სავალალოთ, ამ საქმის ირგვლივ ხმაურობა ბევრია, საქმე კი ძალიან ცოტა.

ამიტომ საჭირო ხდება სხვა გზების და გამოქვა ვალის ძებნა, რათა ამ ბედკრულ ხალხს (აქ მართო ზალცბურგი სახეში არა მაქვს) სადმე კერა გაუჩინოთ და ადამიანური ცხოვრების ასპარეზი გამოუძებნოთ. ამ მხრით აქაც და, რამდენათაც ვიცით, სხვა ადგილებშიც, კერძო ინიციატივების სახით, მიღებულია ზომები გავლენიან თანამემამულეთა დახმარებით ქართველი ლტოლვილების გაყვანის. მაგრამ, ეს არ შეიძლება საქმარი სათ ჩაითვალოს. ჩვენის აზრით საჭიროა ამ საქმის გაძლიერება-მოწესრიგება ერთ საამისო ცენტრალურ ორგანოს დაექმტროს, რომელიც უხვათ მიმობნეულ ლტოლვილების აღნუსხვეას მოახდენს და გეგმიანათ, მეტი ავტორიტეტით, ამ საქმის მოწესრიგებაზე იზრუნებს.

დიდ-ვანელი.

### გერმანია

კერძო წერილიდან... აქ, ამერიკელების ზონაში, არსებობს ინტერნაციონალური კომიტეტი. ამ კომიტეტის დანიშნულებათა იზრუნოს გერმანიაში ჩარჩენილ 800.000 ლტოლვილთა და ძალიად ჩამოყვანილთა ბედზე. ამ კომიტეტში ჩვენ

დღეღებატით არის გოგი ნაკაშიძე, რომელიც ამ კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე არჩეული იქნა თავმჯდომარეთ. და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას რომ ქართველების რიცხვი არ აღემატება 300 კაცს, ჩვენ არავითარი პრეტენზია არ უნდა გვქონოდა ამ თანამდებობის. ამიტომ გ. ნაკაშიძის არჩევა ჩვენს მორალურ გამარჯვებათ უნდა ჩითვლოს. რც შეეხება პოლიტიკურ მუშაობას—ამ მხრივ ჩვენ დაკავშირებული ვართ რუსეთის მიერ დაპყრობილ სხვა ერების წარმომადგენლებთან. აქ დღემდე არსებობდა სამი პოლიტიკური ორგანიზაცია—ჩვენი და ორი სხვა. ამ ორგანიზაციებში არიან წარმომადგენელი თითქმის 14 ეროვნება. ყველა ეს ორგანიზაციები მოქმედებდა სეპარატიულათ — სწორედნ შემორანდუმებს და სხ. და სხ. მე ავიღე ჩემს თავზე ამათი გაერთიანება და დიდი დავიდა რაბის შემდეგ, ჩემს ბინაზე მოხდა მათი გაერთიანება. უკრაინის ყოფილმა პრემიერმა მადლოზა გადამიხადა გაერთიანების საქმის ხელის შეწყობისათვის და განაცხადა, რომ ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება, რომ გაერთიანება მოხდა ქართველების მეოხებით. საჭირო იყო ქართული, ან კავკასიური ხაზით პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა და მე ვისარგებლე ამ შემთხვევისათვის წმ. ნინოს დღის შოწყობით. 27 იანვარს (ან ალი სტილით) მოვაწყვეთ ნინობა. წინა დღეებში რადიომ გადასცა, რომ ქართველები აწყობენ ნინობას და ამ დღეს ისინი ესალმებიან თავის ტყვეობაში მყოფ სამშობლოსო და სხვა და სხვა ქვეყნებში გაბნეულ თანამემამულეებსო. ჩვენ აზრათ გვქონდა გადაგვებადა ეს დღე მხოლოდ ჩვენს წრეში, მაგრამ შემდეგ მოვიწვიეთ კავკასიელები და თვით სხდომაზე მოვიდნ პრესის წარმომადგენლები და აგრეთვე რადიო სადგურის. სტუმრებანათ დავგესწრო 120 კაცი. ჩვენს ახალგაზრდობას საუცხოვოთ ეჭირა თავი. მათმა ქართულმა ცეკვა - თამაშმა - სიმღერამ გაართო სტუმრები, რომლებიც თითქმის გათენებამდის დარჩენ. მთე ვისარგებლე ამ შემთხვევით პოლიტ. გამოსვლისათვის. ჩემი მოხსენება იყო საქართველოზე და კავკასიის მდგომარეობაზე სრულიათ დაურიდებლათ. მოხსენება გავათავე 10 საათზე. რესტორანიდგან პირდაპირ რადიო სადგურს გადასცეს მისი მოკლე შინაარსი და 11 საათზე უკვე მოვისმინეთ რადიოში ჩემი სიტყვა. მეორე დღესაც გადასცეს ის ორჯერ. წინა დროში ეს სრულიად შეუძლებე-

ლი რამ იყო. მეორე დღეს რადიო სადგურს დიდი შადლობა გადაუხადე. ვერავერობით არაერთარი შედეგი არ მოყოლია ასეთ ღია პოლიტიკურ გამოსვლას. ამ ჩემი ნაბიჯით გათამამებული, გუმინ შეიკრიბენ გერმანიაში მყოფ ყველა დაჩაგრულ ქროვნებათა წარმომადგენელი და დაადგინეს: კ—ს გაბედული საჯაროთ გამოსვლა იმის მომასწავებელია რომ შესაფერი მომენტი დადგა პოლიტ. მუშაობისათვის და გადაწყდა გამოყენებული იქნეს ამისთვის რადიო. მომცეს წინადადება მოვაწყოთ ასეთი რამე კავკასიის მასშტაბით. კერძოთ რადიო სადგურმა მთხოვა მოვაგვარო კავკასიის მუსიკის და სიმღერების გადაცემის საკითხი. ვეცდები, რასაკვირველია. გიგზავნი გერმანულ გაზეთებიდან ამონაჭერს, სადაც ჩემი სიტყვის შინაარსია მოთავსებული...

ს ო შ ო

სოშოს ასოციაცია როგორც ბევრმა იციან, იყო ძლიერი და შესანიშნავათ მოწყობილი საზოგადოება. ჰქონდა მას საკმაო დიდი დარბაზი, საუკეთესო და დღეს ფასდაუღებელი სამკითხველო და აუარებელი ავეჯეულობა. ყოველივე ეს იყო მის სკუთაქ მიწაზე. მოკლეთ—ამ დიდ საფრანგეთში ის იყო „პატარა საქართველო“.

გამოცხადდა ომი, ქართველების საგრძობი ნაწილი საფრანგეთის ჯარში იქნა გაწვეული, ნაწილიც ოკუპაციის შემდეგ ძალათ სამუშაოზე გერმანიაში იქნა წაყვანილი და მხოლოთ რამოდენიმე კაციღა დარჩა აქ სოშოში.

რამდენათაც შესაძლებელი იყო ადგილზე დარჩენილი ქართველები ამ ქონებას უეციდნენ.

საუბედუროთ ამ ოკუპაციას მოჰყვა ამ რაიონის დაბომბვა და 1943 წლის ივლისში მთელი ჩვენი ქონება სრულიათ განადგურებული იქნა, რამდენიმე უმნიშვნელო საგნების გარდა, რომლების გადაარჩენაც რამდენიმე ქართველებმა მოახერხეს. ყველაფერი დაიღუპა—რაც ყველაზე უფრო სამწყურაოა, ეს ისა, რომ ამ დაბომბვას მსხვერპლათ შეეწირა ორი ჩვენი თანამემამულე—ზიო ქუროძე და ლევან ჩარკვიანი.



საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ სო-  
შოს საზოგადოება აღსდგა და მაშინვე შეუდგა  
ცდას რომ ნანგრევებზე რაიმე დაედგა. ეს საქმე  
აღვილი არ გამოდგა. მოთხოვნილება, რომელიც  
ჩვენ წარვადგინეთ დაგვიანებული აღმოჩნდა და  
თუ არ გამოგვსარჩლებოდნენ აქ რამდენიმე  
ფრანგი და მანდ, პარიზში, რამდენიმე ქართვე-  
ლი, რომელთა შორის პირველი ადგილი უთუ-  
ოდ ბ-ნ ჭიჭიკო ასათიანს ეკუთვნის, ეს ჩვენი ცდა  
დადებითი შედეგით უთუოდ არ დაბოლავდებო-  
და. ვიშეორებთ, რომ დახმარებით ამ მეგობრე-  
ბისა (რომლებზედაც შემდეგ კიდევ გვექნება  
ლაპარაკი) დღეს გაგვანია ერთ-გვარი თავშესა-  
ფარი სადაც ყოველ დღე ურათ ადგილობრივი  
ქართველების დიდი ნაწილი თავს იყრის და ქა-  
რთულათ ბაასობენ.

საზოგადოებამ მიიღო ცნობა რომ ერთი წრე  
ქართველებისა იტალიაში განიცდიდნენ დიდ გა-  
ჭირებას. ის მაშინვე შეეცადა ამ ქართველების  
დახსნას, შესძლო სამუშაო კონტრაქტების გა-  
გზავნა, მაგრამ სამწუხაროთ ეს შეხვტა ჩვენგან  
დამოუკიდებელ და გაუთვალისწინებელ და-  
ბრკოლებას. რამდენიმე ქართველის მოყვანა და  
აქ მოწყობა მაინც მოხერხდა და კიდევ არის  
იმედი სხვების დახსნისაც.

ამ უამათ ის ცდილობს რამოდენიმე ქართვე-  
ლებისა ექსტერიდან გამოყვანას და არის იმედი-  
ბი, რომ ამას უფრო ადვილათ მივაღწევთ.

განსრახულია აჭრეთვე ქ. მონბელიარში ქარ-  
თველ ძმათა სასაფლაოს შეძენა და მოწყობა. ამ  
მიზნის მიღწევა თხოულობდა და თხოულობს  
დიდ თანხას. გამგებამ ეს გაუზიარა რამდენიმე  
პარიზელ მეგობართ და იმათგან უკვე მიიღო  
ერთდროული დახმარება და დაპირებაც კიდევ  
დახმარებისა. ახლა გვეძლევა შემთხვევა პრე-  
სის საშუალებით მათ გულწრფელი მადლობა  
ვუძღვნათ და მათ სიას, ისე როგორც დაწერი-  
ლებით ანგარიშს თუ რა თანხას ითხოვს ეს მი-  
ზანი, გამოვაქვეყნებთ მოლაპარაკების დამთა-  
ვრებისას, რომელსც ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მო-  
ბელიარის თვითმართველობასთან.

ასოციაციის გამგების თავრე-  
ი. სალუქვაძე.  
მდივანი—ვ. დოლიძე.

„ტრაგედია კუნძულ ტექსელზე“.

ამ სათაურით ამსტერდამში ჰოლანდიურ ენა-  
ზე, გამოვიდა პატარა წიგნი, რომელშიდაც მო-  
თხრობილია ქართველი ტყვეების აჯანყება ჰო-  
ლანდიაში 1945 წელს. წიგნის ავტორია ჰოლა-  
ნდიელი ი. ა. ფონდი. წინასიტყვაობაში ავტორი  
აცხადებს, რომ მას არ აქვს აზრათ მოგვცეს რო-  
მანტიული საღებავებით შესამაზებული მოთ-  
ხრობა, არამედ მას სურს გადმოგვცეს დოკუმენ-  
ტალური სიმართლით ის საარაკო ბრძოლა, რომ  
მლის მოწამე თვითონ ყოფილა.

1945 წ. აპრილის 5—6—გადმოგვცემს ავტო-  
რი—კუნძულ ტექსელს უღარდელათ ეძინა. არ  
ეძინა მხოლოდ იმ ქართველ ბათალიონს, რომე-  
ლიც შესდებოდა 750 ჯარის კაცისაგან. არ ეძი-  
ნა იმიტომ რომ ბათალიონი ემზადებოდა აჯანყე-  
ბისათვის. აჯანყება ისეთი კონსპირაციით იყო  
მომზადებული, რომ გერმანელებმა სრულიად  
პრაფერი იცოდნენ. ამიტომ იყო, რომ ის ისეთი სი-  
სწრაფით დაიწყო გათენებისას, რომ გერმანუ-  
ლმა გარნიზონმა მას ვერავითარი წინააღმდე-  
გობა ვერ გაუწია და ვახდენ ბათალიონის  
ტყვეთ, რის გამო აჯანყება დასრულდა სწრა-  
ფად და თითქმის უსისხლოთ, მიუხედავთ იმისა  
რომ გერმანელების გარნიზონი საქმათ ძლიერ-  
ი იყო. მაგრამ როცა შემდეგ გერმანელებმა  
შრავალ-რიცხვოვანი დამსჯელი რაზმი გადმო-  
სხა—გაჩაღდა გაათორებული და დაუზოგველი  
ბრძოლა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ამუშავდა  
ტანკები, ზარბაზნები, ჰაერობლანები. დამსჯე-  
ლი რაზმი რიცხვობრივით და სამხედრო იარა-  
ლით ათჯერ მაინც აღემატებოდა ქართველების  
საომარ შესაძლებლობას. მიუხედავთ ამისა აჯა-  
ნყებულები საზღაპრო გამბედაობით და სიმამ-  
ციით განაგრძობდნენ თავდაცვას. აჯანყებულთა  
რიგები დღითიდღე მცირდებოდა, მარა ყველას  
გადაწყვეტილი ქონდა დაღუპულიყო ბრძოლა-  
ში, ვინემ იარაღი დაეყარა. როცა აშკარა ბრძო-  
ლა შეუძლებელი გახდა—გადარჩენილებმა მიმა-  
რთეს პარტიზანულ მეთოდს. ავტორი აღტაცე-  
ბით მოგვითხრობს ამ პარტიზანების გმირულ  
მოქმედებაზე. განსაკუთრებით მათ ზელოძღვა-  
ნელებზე—შ. ლოლაძე, ე. ართმელაძე, ნ. გოგო-  
ლაძე და სხვებზე—რომლებიც ყველა დაღუ-  
პულან. გერმანელებმა გამოსცეს სასტიკი ბრძა-  
ნება, რითაც აუწყებდნენ ყველას, რომ დაისჯე-  
ბი. დენ სიკვდილით თუ ქართველ პარტიზანებს

რაიმე დახმარებას აღმოუჩინდნენ. მიუხედავად ამისა არ ყოფილა შემთხვევა ქართველი პარტიზანის გაცემისა. პირიქით, ყველგან და ყველა ეხმარებოდა მათ რითაც კი შეეძლოთ. სოფელში დადიოდა მათ წინააღმდეგ სპეციალური რაზმი, მარა მათ ასეთი მოგზაურობა ძვირათ უჯდებოდათ. წიგნში მოყვანილია შემთხვევა, როცა 30 კაციდან შემდეგარი ასეთი რაზმიდან 29 მოუკლავს 2 ქართველ პარტიზანს. 750 აჯანყებულიდან დაღუპულა 526.

ამაღელვებელი სიტყვებითაა აღწერილი წიგნში კუნძულზე დახოცილთა დასაფლავება. მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ ყველა დახოცილები დაუსაფლავებიათ ერთ საძმო საფლავში. კუნძულის მცხოვრებთ აუფრთხილ მშვენიერი ძეგლი, აჯანყებულთა მეთაურის სურათით, რომლის ქვეშ არის შემდეგი წარწერა:

„მამაც ქართველ ბათალიონს, რომელიც 1945 წლის 6 აპრილიდან 4 მაისამდე, კუნძულ ტექსელზე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდა თავისუფლებისათვის, ჩვენ არას დროს არ დავივიწყებთ მათ.“

სოფლელი

დამსწრი

სამგლოვნიარო პანაშვილი

წიკილი ჩეღაქციის მიმართ

კვირას, თებერვლის 29-ს, „ალიანს ფრანსეზ“-ის დიდ დარბაზში საქართველოს დაპყრობის 27 წლისთავის აღსანიშნავათ, ეროვ. დემოკრატიული პარტიის თავისნობით, გადახთილი იქნა საეკლესიო და სამოქალაქო პანაშვიდი, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლებსა და მოქმედებანში დახოცილ და გარდაცვლილ ქართველთა მოსაგონებლათ. დარბაზი მორთული იყო ქართული დროშებით, დახოცილთა და მიცვალებულთა სურათებითა და თეთრი ყვავილებით. საეკლესიო პანაშვიდი—გადაიხადა პარიზის მრეგლის შობღვარმა მამო ნიკოლოზმა, რომლის წირვა-ლოცვას ამკობდა ბ. თ. თავთაქიშვილის ხელმძღვანელობით ქართული საეკლესიო გუნდის მიერ შესრულებული ვალობები.

სამოქალაქო პანაშვიდს თავმჯდომარეობდა ბ. სპ. კეღია, რომელმაც მოკლედ და მკაფიო სიტყვით აღნიშნა ტფილისისა და საქართველოს დაპყრობის წლის თავი, დიდებით მოიხსენია

ერისა და ქვეყნისათვის თავდადებული მამულის ზვილნი, აღნიშნა საქართველოს დღევანდელი სახიფათო მდგომარეობა და მორიგ საკითხათ წამოაყენა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ—ცოცხალ ძალთა თავმოყრა-შეკავშირება, საქართველოს თავისუფლებისათვის გონიერად მუშაობა + მოქმედებისათვის. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბ. რ. გაბაშვილმა, რომელმაც მოქმედება-მუშაობისათვის მოუწოდა ქართულ ემიგრაციას. ელ. პატარიძემ მოკლე სიტყვით დაახასიათა და მოიგონა ეროვნულ ბრძოლებში და განსაკუთრებით უკანასკნელი დიდი ომის დროს ბრძოლის ასპარეზზე დაცემული მამულიშვილნი და აღნიშნა რომ ჩვენი თაობები მათის გზით ივლიან, იმოქმედებენ და იბრძოლებენ მანამ, სანამ მტრის მიერ დაპყრობილი ქართველი ერი თავისუფალ სახელმწიფოებრივ აჩსებობას არ აღიდევნს. და ბოლოს ბ. შ. კალანდაძემ წაიკითხა ალ. ასათიანის წერილი მიძღვნილი დიდ საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძისადმი, რომლის შემდეგ ბ. გ. ყიფიანმა წაიკითხა მისი საკუთარი ლექსი მიძღვნილი შალ. ამირეჯიბისადმი.

პანაშვიდს დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო.

დ. პ. ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალეებით ვაცნობო ქართველ საზოგადოებას სია იმ პირთა, რომლებმაც გაიღეს თავისი წვლილი ლევილის სასფალსოს მოსაწყობათ.

- 25.000 ფრ. — შ. სკანკოჩაიშვილი; ათ-ათი ათასი—1. უჩაძე გრიგოლ, 2. ცინცაძე ნოე, 3. ქალთა კომიტეტი; ხუთ-ხუთი ათასი: 1. ჭელიძე ვრამიშვილი, 2. შავლაყაძე შალვა, 3. ცაგარელი მიშა, 4. კობახიძე კოტე, 5. ჟღენტი ტარიელ, 6. კეკელიძე სიმონ, 7. სარჯვალაძე სეო, 8. მამულაშვილი ლევან, 9. პატარიძე ელისე, 10. წულაძე ვასო; სამ-სამი ათასი: 1. გაბელაშვილი ვასო, 2. გოგუაძე ვალოდია, 3. წულაძე ტარასი, 4. ალ. ტატიშვილი; ორიათას ხუთასი: 1. ჩუბინძე მიშა, 2. ჩუბინძე ვალიკო, 3. მეღუა მირიან; ორასი ათასი: 1. გიორგი ჟღენტი, 2. გი-



ორგი ერაძე 3. ანგლედიანი ვალიკო, 4. ნოზაძე გიორგი, 5. მიქელაძე სიმონი, 6. წერეთელი გრიშა, 7. ასათიანი ვანო, 8. იმნაიშვილი ქრისტეფორე, 9. ინწკირველი ვალიკო, 10. ბარნოვი ნიკოლოზ, 11. ჯაყელი ნიკოლოზ ქაიხოსროსძე, 12. გვეტაძე გრიშა, 13. შეუნარგია აკაკი; ათას-ხუთასი: 1. შუხაშავრია თეოდორე, 2. ბერეჟიანი შოთა, 3. ქ—ნ ირინე ლალიძისა; ათას-ათასი: 1. ჭელიძე ვალიკო, 2. ჩიკვილაძე სიმონ, 3. ჩხაიძე კვიროსი, 4. ბლიაძე სიმონ, 5. ქარსელაძე ისიდორე, 6. დალაქიშვილი სევასტი, 7. წულაძე ბაგრატ, 8. სარჯველაძე პავლე, 9. ასათიანი გედევან, 10. ყურულაშვილი დავით, 11. ყურულაშვილი ნიკოლოზ, 12. ნასყიდაშვილი შიშა, 13. ბოლქვაძე გერასიმე, 14. ვაშაძე პავლე, 15. ბუაჩიძე დავით, 16. აბდუშელიშვილი შალვა, 17. ბარამიძე გრიშა, 18. ლაბაძე ვასო, 19. ფალავა იური, 20. ზურაბიშვილი არჩილ, 21. ზურაბიშვილი ლევან, 22. ჟღენტა სპირდონ, 23. შანშიაშვილი გიორგი, 24. კვაჭანტირაძე ვლადიმერი, 25. ქ. წულუკიძე ბაბო, 26. გვარჯალაძე კონსტანტინე, 27. ქ. გიგოლოვისა ანნა, 28. ქ. ნელი მდივინისა, 29. ქ. ნინო ჯაფარიძისა, 30. ურუშაძე ერასტო, 31. ბერიძე შერიფა, 32. ვადაჭკორია აკაკი, 33. შავგულიძე აკ. 34. ცერცვაძე კოლია, 35. ურუშაძე ნიკო; ხუთას-ხუთასი: 1. ე. გრიგორაშვილი, 2. მესხუზლა პორფირე, 3. რევაზიშვილი დავით, 4. არსენიძე რაჟდენ, 5. ხუნდაძე შიშა, 6. გედევანიშვილი არჩილ, 7. ლაშქარაშვილი შიშა, 8. ქ. თამარ მუსხელიშვილისა, 9. ხოჭოლავა კოლია, 10. ქვარია დათიკო, 11. ბარკალაია ივანე, 12. მგელაძე მარტიანი; სამას-სამასი: 1. სიმონ წერეთელი, 2. ნიკოლაიშვილი ნიკოლოზ; ორას-ორასი: 1. ჩიჩუა ზაქარია, 2. ქ. ელზა ცომიასი, 3. კვიციანიშვილი აკაკი; ას-ასი: 1. მღვ. ნიკოლოზ ზამბახიძე, 2. სოსხაძე შალვა, 3. ჯაყელიძე ვალოდია, 4. ურუშაძე ლუკა. ქრ. იმნაიშვილმა და თ. შუხაშავრიამ გადმოგვცა მათ მიერ შეგროვილი 8.000 ფრ.

სულ 205.600 ფრ.

აქედან დახარჯულია მიწის

საფასურათ — 125.000 ფრ.

დაარჩა კასაში — 80.600 ფრ.

6. გოგუაძისა.

**მწერალთა კავშირი.** 22 თებერვალს მწერალთა კავშირმა გამართა მორიგი მოხსენება. რ. გაბაშვილმა წაიკითხა—„ვეფხისტყაოსანი და დონ კიხოტი“. გ. წერეთელმა (ახალი ემიგრანტი) — ჩახრუხაძეზე. მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა - გაზიარება.

**„შეგარდენის“ საღამო**

ამა წლის 28 მარტს საღამოს 9 საათზე, „შეგარდენის“ კომიტეტი აწყობს საღამოს ამავე საზოგადოების სასარგებლოთ. 23, bis Boulevard Courcelles, Cite-Club Universitaire. Métro: Villiers.

**გაზეთის ფონდი**

გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, რომლებმაც გაგვიწიეს ნივთიერი დახმარება :

ხუთ-ხუთი ათასი:—დავით ბერიკაშვილი (ბელოვია), გრ. უჩაძე; ხუთასი ფრ.—მ. ცაგარელი (მეორეჯერ); ორასი ფრ.—პარმენ კობახიძე; ასი ფრ.—მ. მელუა; ორმოცდა ათ ორმოცდა ათი ფრ.—ვ. მარჯანიძე და ს. ჩიკვილაძე.

სულ—10.900 ფრ.

**რედაქციისაგან**

გაზეთ „ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქცია სთხოვს თავის თანამემამულეთ, ვისაც აინტერესებს ქართველი ბეჭდვითი სიტყვის არსებობა-გაუწიოს მას იდეური და ნივთიერი დახმარება, აგრეთვე ხელი შეუწყოს გაზეთის გავრცელებას.

დასაბეჭდი მასალა და ფული უნდა ფაშოიგზენოს შემდეგი მისამართით:

**Mr Ouratadze,**  
44, Bd Port-Royal, 44, Paris (5).

**შეცდომების გაწორება**

**შურდულის** ლექსში შეცდომით დაბეჭდილია: „სადაც სიცხე, სუსხი, ქარი, ნამქერი, უნდა იყოს—სად სიცხე...“

დაბეჭდილია: მიწის ზედაპირს ზედა არადანა უნდა იყოს—ზედა არადანი

დაბეჭდილია: მისი სიღრმიდან მოდის მადანი უნდა იყოს—მოდის მადანი

დაბეჭდილია: ხანჯლები ავატრიალოთ უნდა იყოს—ხანჯლები ავაპრიალოთ